



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპადოკიური მონეტა

კაპადოკიური მონეტა, კაპადოკიაში (მცირე აზია) მოქრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. იყოფა ორ ჯგუფად: 1. საკუთრივ კაპადოკიის მეფეთა სახელით მოქრილი მონეტები, 2. რომის იმპერატორთა სახელით მოქრილი მონეტები. პირველი ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო არიარათ (არიარათე) I-ის (ძვ. წ. 333-322) ეპოქიდან და გრძელდებოდა ძვ. წ. 36-17-მდე. სამონეტო ტიპების რეპერტუარი არცთუ ისე მრავალფეროვანია, ხოლო ძვ. წ. III ს. 20-იანი წლებიდან ხდება მათი საბოლოო უნიფიკაცია. მონეტის შებლზე ყოველთვის გამოსახულია კაპადოკიის მეფის პროფილი, ხოლო ზურგზე – მარცხნივ მიმართული ათენა მთელი ტანით, რ-საც განვდილ მარჭვენა ხელში უქირავს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკება, მარცხენაში კი – შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი. ბერძნ. ლეგენდაში აღნიშნულია კაპადოკიის ამა თუ იმ მეფის სახელი და მონეტის მოქრის თარიღი. კაპადოკიის მეფეთა სახელით მოქრილი დრაქმები აღმოჩენილია საქართველოშიც, კერძოდ, ვანში [არიარათ VI (ძვ. წ. 130-116) – 1 ც. არიარათ VII (116-101) 1 ც., არიარათ IX (101- 87) 2 ც., არიობარძანე (96-63) – 2 ც.] და სხვაგან.

მეორე ჯგუფის მონეტების ემისია იწყება ახ. წ. 30 წ-იდან, კერძოდ, იმპ. ტიბერიუსის (14-37) დროს. თავდაპირველად იქრებოდა დრაქმა, კალიგულას (37-41) ხანიდან ცირკულაციაში ჩართეს დიდრაქმა, ხოლო ნერონის ეპოქიდან (54-68) – ტეტრადრაქმები და ჰემიდრაქმები. სპილენძის მონეტები მოიქრა კლავდიუსის (41-54) მმართველობისას. ემისია გრძელდებოდა III ს. შუა ხანებამდე. სამონეტო ტიპოლოგია მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია მონეტების ზურგზე არგეის მთისა და ჰერაკლეს ლახტის გამოსახვა. შებლზე ყოველთვის რომის იმპერატორის პორტრეტია ამოტვიფრული. ზედნერილები ბერძნულია. კაპადოკიის მთავარი ქალაქის, კესარის გარაფხანა II ს-ში უდიდესი მასშტაბით ახორციელებდა სამონეტო ემისიას და აკმაყოფილებდა მთელი მცირე

აზის ბაზრის მოთხოვნებს. ამ საერთო ეკონომიკურ ფერხულში ჩაბმული იყო კოლხეთიც. დას. საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილია 1200-მდე კაპადოკიური მონეტა (სოხუმის რნი, ბიჭვინთა, ბანძა, სეფიეთი, ურეკი, სუფსა, ეკი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ კესარიული მონეტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ჩართული კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში. ასე მაგ.: ადრიანეს (117-138) დიდოაქმები აღმოჩენილია III ს. 30-იან და 50-იან წლებში ჩამარხული განძების შემადგენლობაში (ეკი, ბიჭვინთა) ან მიკვლეულია III ს. შეა ხანის შემდეგ ხელშეუხებელ კულტურულ ფენაში (ბიჭვინთა).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II - ახ. წ. IV სს., წგ.: დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე , საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), თბ., 1979; დ უ ნ დ უ ა გ., წ ი რ ღ ვ ა ვ ა გ., ეკის განძი, «ძეგლის მეგობარი», 1971, №27-28; დ უ ნ დ უ ა გ., ჭ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ირ., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ფ უ თ უ რ ი ძ ე რ ., ბიჭვინთის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, წგ.: დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975; Г о л е н к о К. В., Денежное обращение Колхиды в Римское время, Л., 1964; И в а щ е н к о М. М., Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской, ИГАИМК, вып. 10, т. 7, Л., 1931; Л о р т к и п а н и д з е Г. А., К истории древней Колхиды, Тб., 1970; S i - m o n e t t a B., Notes on the coinage of the Cappadokian Kings, NC, 1961; S y d e n h a m E., The coinage of Caesarea in Cappadocia, L., 1933.

3. დუბდუა